თქვენი გადაწყვეტილების მე - 3 პუნქტში თქვენ რეკომენდაციას გვაძლევთ მწვანე აფთიაქის სარეკლამო წარწერა მოეწყოს მოცულობითი ასოებით.

მოგახსენებთ, რომ ჩვენი აფთიაქის ნორმალური მუშაობისთვის, რომელიც პირველი და ერთადერთია თბილისში და რესპუბლიკაში, აუცილებელია გვქონდეს სამენოვანი წარწერა (ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). მოცულობითი ასოებით შესრულებული წარწერა, 54 ასოთი, ფართის სიმცირის გამო იქ ვერ დაეტევა.

მოწიწებით გთხოვთ, როგორც გამონაკლისი, დაგვრთოთ ნება და მოგვცეთ საშუალება, გამოვიყენოთ არსებული სტენდი მორბენალი სტრიქონებით.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ჩვენი აფთიაქი, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, სარგებლობს ფრიად მაღალი პოპულარობით ჩამოსულ უცხოენოვან ტურისტებს შორის. სამწუხაროდ, მარტო ქართული წარწერა მათთვის გაუგებარია.

ეს აფთიაქი დავაარსეთ 1989 წელს, 2006 წელს ქ. პარიზში საერთაშორისო კონფერენციაზე დაგვაჯილდოვეს ოქროს მედლით პროდუქციის საუკეთესო ხარისხისათვის. ჩვენს აფთიაქზე უცხოელებს და კერძოდ, ჰოლანდიელებს გადაღებული აქვთ დოკუმენტური ფილმი.

მე, როგორც აფთიაქის დამფუძნებელი, დალოცვილი ვარ საქართველოს პატრიარქის მიერ და ჩვენი ხშირი სტუმარი და მომხმარებელია მეუფე შიო.



გვაქვს იმედი, რომ თქვენი საბჭოს (კომისიის) წევრების უმეტესობა გამსჭვალულია პატრიოტული გრძნობებით და თქვენს მიერ მიღებული, ჩვენთვის დადებითი გადაწყვეტილება იქნება ამის დასტური.

შუალედური პასუხის მე - 4 პუნქტის საპასუხოდ:

ჩვენს მიერ წარმოდგენილი თხოვნა მორბენალი სტრიქონის სტენდის ნებართვაზე: ეს სტენდი განთავსებულია მხოლოდ დამქირავებლის ანუ მეიჯარის ტერიტორიაზე და მასთან მოიჯარეს არავითარი პრეტენზია არ გააჩნია.

ეს დასტურდება მოიჯარე „ლუკა კაჭარავა“-ს ნოტარიულად დადასტურებული ხელწერილით.

პატივისცემით მწვანე აფთიაქის დამფუძნებელი

თენგიზ მაისურაძე.